განახლებულია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
ბრძანებით №07/01-08 (08.04.2020)

კავკასიის უნივერსიტეტი

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დებულება

2020

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომში–კომისია) ამოცანებს, დაკომპლექტების წესსა და და უფლებამოსილებას, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებსა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესებს.
2. კომისია კოლეგიური ორგანოა, რომელიც საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. კომისიის ფუნქცია

1. უნივერსიტეტის სტუდენტების, ადმინისტრაციული/ აკადემიური/ სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიერ კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ქცევის ნორმების დარღვევის ფაქტების შესწავლა და ამ ფაქტებზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
2. ცალკეულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი დავალების საფუძველზე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირის ან/და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (შემდგომში - უფლებამოსილი პირი) კონკრეტული გადაწყვეტილების გადახედვა და მოცემული გადაწყვეტილების მართლზომიერების, სამართლიანობის და ეფექტურობის შესწავლის შედეგად, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა

1. კომისია შედგება 5 (ხუთი) მუდმივმოქმედი წევრისაგან.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) კომისიის თავმჯდომარე – უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;

ბ)კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში;

გ) კომისიის წევრი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

დ) კომისიის წევრი (კომისიის მდივანი) – უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი ან იურისტი.

ე) კომისიის წევრი - უნივერსიტეტის ომბუდსმენი.

3. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი.

4. განსახილველი საკითხიდან ან/და საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების/შესაძლებლობის მქონე კომისიის წევრების რაოდენობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კომისიის შემადგენლობაში კომისიის კონკრეტული სხდომისათვის შესაძლებელია შეყვანილ იქნეს: უნივერსიტეტის სკოლის დეკანი, უნივერსიტეტის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის დირექტორი/მენეჯერი; უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი/თანამშრომელი; უნივერსიტეტის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი/თანამშრომელი; პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი/თანამშრომელი; ხოლო აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების განხილვის დროს - განსახილველი დარგის/მიმართულების აკადემიური პერსონალი.

მუხლი: 4 კომისიის წევრის აცილება.

1. კომისიის თავმჯდომარემ/კომისიის წევრმა არ შეიძლება განიხილოს საქმე, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს დაინტერესებულ პირს;

ბ) დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) პირადად, პირდაპირ, ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობას.

2. აცილების საფუძვლის არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს თვითაცილებას, მხარეებს შეუძლიათ უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენონ კომისიის წევრის აცილების საკითხი.

მუხლი 5. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე ხელს აწერს და უნივერსიტეტის პრეზიდენტთან აგზავნის კომისიის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მუხლი 6. კომისიის კომპეტენცია

1. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს პირის მიმართ ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის ზომის/ზომების გამოყენებაზე:

ა) სტუდენტისთვის, ადმინისტრაციული/აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალისათვის შენიშვნის გამოცხადება;

ბ) სტუდენტისთვის, ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის მკაცრი საყვედურის გამოცხადება;

გ) სტუდენტისთვის - სასწავლო კურს(ებ)იდან/კომპონენტ(ებ)იდანჩახსნა;

დ) სტუდენტისათვის - სპეციალური ტარიფით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის უფლების შეწყვეტა;

ე) სტუდენტისთვის - სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ვ) სტუდენტისთვის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ზ) ადმინისტრაციული/ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის - არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

თ) აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის - აკადემიური მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს ერთი სასწავლო სემესტრისა;

ი) ადმინისტრაციული/ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის - სამსახურიდან განთავისუფლება შრომის კოდექსის საფუძველზე.

1.1. პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე:

სანქციები სტუდენტების მიმართ:

- სიტყვიერი ან/და წერილობითი გაფრთხილება, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- ნაშრომის/საგამოცდო დავალების განმეორებით შესრულება;
- შესაბამისი სასწავლო კომპონენტისთვის გათვალისწინებული ქულის განულება/დაკლება;
- სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება (F);
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრით;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა.

სანქციები აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიმართ:

- სიტყვიერი ან/და წერილობითი გაფრთხილება, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- საყვედური პირად საქმეში;
- მონიტორინგის დაწესება მის საქმიანობაზე;
- შრომის ანაზღაურების დაკავება;
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ერთი ფაქტის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პასუხისმგებლობის ერთი ან სანქციის შინაარსიდან გამომდინარე, ერთზე მეტი ზომა.

მუხლი 7. სანქციის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი გარემოებები

1. კომისია ითვალისწინებს შემდეგ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რაც თავის მხრივ აისახება დისციპლინურ სანქციაზე:

2. შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) თუ არსებობს მტკიცებულება ან გონივრული ეჭვი რომ პირმა ქმედება ჩაიდინა გაუცნობიერებლად, ამასთან ის არის საბაკალავრო პროგრამის პირველი ეტაპის სტუდენტი და თუ მანამდე მის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა დისციპლინუ რი პასუხისმგებლობის რაიმე ზომა;

ბ) სხვა გარემოება, რომელიც კომისიის წევრების მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას შემამსუბუქებელ გარემოებად.

3. დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) პირის მხრიდან დარღვევის ფაქტი არ არის პირველადი;

ბ) პირის მიერ ჩადენილ ქმედებას მოჰყვა სხვა თანმდევი ზიანი უნივერსიტეტისთვის/პერსონალისთვის/სხვა სტუდენტისთვის;

გ) სხვა გარემოება, რომელიც კომისიის წევრების მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას დამამძიმებელ გარემოებად.

8. სტუდენტის, /ადმინისტრაციული / აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლებები მათ მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელებისას:

1. კომისიის მდივანი ვალდებულია, შესაბამისი საკითხის განმხილველი დისციპლინური კომისიის მორიგი სხდომის მოწვევიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სხდომის ჩატარებამდე 2 (ორი) სამუშაო დღისა, უზრუნველყოს იმ პირის ინფორმირება, ვის მიმართაც შემოსულია განცხადება.
2. პირს, რომლის მიმართაც შემოსულია განცხადება და რომლის საკითხის/გადაწყვეტილების განხილვის/გადახედვის მიზნითაც, ჩანიშნულია კომისიის სხდომა, უფლება აქვს:
ა) წერილობითი ფორმით (ელექტრონულად) მიიღოს შეტყობინება/ინფორმაცია მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის თარიღის შესახებ;
ბ) დაესწროს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და დააფიქსიროს პოზიცია;
გ) წერილობითი ფორმით (ელექტრონულად) მიიღოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა/ზომების შეფარდების შესახებ შესაბამისი ბრძანება.

მუხლი 9. კომისიის უფლებამოსილება, კომისიის სხდომის მოწვევა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის მოწვევის შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აქვს უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელსა თუ სტუდენტს, ასევე არასრულწლოვანი სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს უნივერსიტეტის პრეზიდენტისათვის შესაბამისი მიმართვით;
2. კომისიის სხდომის მოწვევას, კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მასალების (განცხადება, საჩივარი/მოთხოვნა, მტკიცებულებები და სხვა) შემოსვლის შესაბამისად, უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი სარეზოლუციო დავალების გამოცემიდან მეორე სამუშაო დღეს უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.
3. კომისიის სხდომა დანიშნულ უნდა იქნას მასალების შემოსვლიდან არაუგვიანეს მე-14 (მეთოთხმეტე) სამუშაო დღისა.
4. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უბრალო უმრავლესობა.
5. კომისია ვალდებულია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი.
6. პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება/პირის გადაწყვეტილების გადახედვის პროცესის დაწყება არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო ან/და სამუშაო პროცესში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრების, უსაფრთხოების, საქმიანი რეპუტაციისა თუ პრესტიჟის დაცვას.
7. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს, ხოლო უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების გადახედვისას კი - განმცხადებელ მხარეს. კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უფლებამოსილების ფარგლებში, სათანადოდ უნდა იქნეს გამოკვლეული კომისიის მიერ.
8. კომისიის სხდომის შედეგებზე ფორმდება კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე) და პასუხისმგებელი მდივანი. კომისიის ოქმში შეიტანება დღის წესრიგით გათვალისწინებული და დამატებით შემოსული ყველა საკითხი და მათი განხილვის შედეგები. ოქმს დაერთვის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის, ასევე საქმის განხილვისას გამოკვლეული სხვა მტკიცებულებების თითო-თითო ეგზემპლარი.
9. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.
10. კომისიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ასახვას ჰპოვებს კომისიის

სხდომის ოქმში.

11. კომისიის წევრებს შორის ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

12. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას კომისიამ უნდა დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, შეფარდებულ ზომასა და ჩადენილ გადაცდომას შორის პროპორციულობისა და თანაბარზომიერების პრინციპები.

13. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე;

14.. კომისიას უფლება აქვს, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა კომისიის კონკრეტული სხდომისათვის სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ იქნეს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირი.

მუხლი 10. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება

1. უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისა, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ კომისიის მიერ შეთავაზებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება დგება კომისიის მიერ მოცემული საკითხის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. უნივერსიტეტის პრეზიდენტს უფლება აქვს არ დაეთანხმოს კომისიის გადაწყვეტილებას და ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნოს იგი კომისიას.

გადაწყვეტილების გადახედვისას, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს შემდეგი ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) გადაწყვეტილების ძალაში დატოვება;

ბ) გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და განსახილველ საკითხზე ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება;

გ) გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და განსახილველ საკითხზე ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება.

3. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კვლავ არ ეთანხმება კომისიის მიერ ხელახალი განხილვის შედეგად მიღებულ დასკვნას, მას უფლება აქვს მოცემული საკითხის ხელახალი განხილვის მიზნით მოიწვიოს კომისია სხვა შემადგენლობით. ხელახლად განსახილველ საკითხთან მიმართებით მოწვეულ კომისიას აქვს იგივე უფლებამოსილება და ვალდებულება, რაც მუდმივმოქმედ საუნივერსიტეტო კომისიას.

4. უნივერსტეტის პრეზიდენტს უფლება აქვს კომისიაში ხელახალი განხილვისთვის დაბრუნების გარეშე შეცვალოს კომისიის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით პირს შეეფარდება კომისიის მიერ შეთავაზებულ პასუხისმგებლობის ფორმაზე უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ფორმა.

5. კომისიის სხდომის ოქმი, ისევე როგორც სხვა დოკუმენტაცია, კომისიის მდივნის მიერ შესანახად გადაეცემა საორგანიზაციო დეპარტამენტს.

მუხლი 11. აპელაცია

1. პირს, რომელიც არ ეთანხმება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნას, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღეში წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს და მოითხოვოს საკითხის აპელაცია.
2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული: მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და არგუმენტები ნათლად ჩამოყალიბებული. გადაწყვეტილება აპელაციის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3. უნივერსიტეტის პრეზიდენტი სააპელაციო განაცხადის მიღებიდან 3 დღის ვადაში ქმნის დროებით სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 12. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

წინამდებარე დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.